გუშინ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა კოლმეურნეთა III საკავშირო ყრილობამ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 ნოემბერი პარასკევი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის ნი-ე წელი

№ 277 (14577)

დადგენილება

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისა

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების შესახებ

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა ადგენს:

1. მიღებულ იქნას „კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება".

2. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს სანიმუშო წესდების საფუძველზე შეიმუშაონ თავიანთი კოლმეურნეობის წესდება და დაამტკიცონ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე.



კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატების წერილი

საგბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საგბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საგბჭოს

ჩვენ, კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები, მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა გლეხობის სახელით მხურვალედ მივესალმებით ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

ჩვენ, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა, გულითადი და დიდი მადლიერების გრძნობით აღვიქვით საკოლმეურნეო წყობილების მიღწევებისა და საბჭოთა გლეხობის თავდადებული შრომის მაღალი შეფასება, რომელიც მოცემულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში.

ჩვენ აღვუთქვამთ პარტიასა და მთავრობას, რომ კოლმეურნე გლეხობა ყველაფერს იღონებს, რათა წლითიწლობით გაადიდოს თავისი წვლილი იმ დიდი ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც პარტიამ დასახა სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისათვის, კვების პროდუქტებზე ქვეყნის მოსახლეობის, ხოლო ნედლეულზე — მრეწველობის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის.

როცა გონების თვალს ვავლებთ განვლილ გზას, ნათლად ვხედავთ, რაოდენ დიდი, ტიტანური შრომა გასწია ჩვენმა პარტიამ, მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის.

საკოლმეურნეო წყობილების შექმნასა და განმტკიცებას, ყოველივე საუკეთესოს ჩვენი გლეხის ბედში ვუკავშირებთ დიდი ლენინის სახელს. მან შექმნა და რევოლუციური ბრძოლების ქარცეცხლში გამოაწრთო მუშათა და გლეხთა ურყევები კავშირი — საბჭოთა საზოგადოების ეს მძლავრი ძალა. მან, ილიჩმა, შეიმუშავა კოოპერაციული გეგმა, რომელიც ახლობელი და ძვირფასი გახდა თვითეული გლეხისათვის.

კომუნისტთა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ სამუდამოდ გაათავისუფლა გლეხი ექსპლოატაციისაგან, ბნელ-უკუნი წყვდიადისა და გაჭირვებისაგან, გაიყვანა ეკონომიური, სოციალური და კულტურული პროგრესის ფართო გზაზე. პარტიის ხელმძღვანელობა ჩვენი ძალის, ჩვენი გამარჯვებების წყაროა, და პარტიას ვუძღვნით დღეს ყველაზე სანუკვარ გრძნობებს, გულითადი მადლობის ყველაზე გულწრფელ სიტყვებს.

შევჯერებით რა ჩვენს ყრილობაზე, შევაჯამეთ საკოლმეურნეო წყობილების შესანიშნავ გამარჯვებათა შედეგები. საკმარისია დღეს წარმოვიდგინოთ ძველი სოფელი, მოვიგონოთ წინანდელი გლეხური ცხოვრება, რომ კვლავ მთელი სიცხადით დავინახოთ, თუ რაოდენ ჭეშმარიტად ისტორიული საქმე იყო გლეხობისათვის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

ჩვენი ცხოვრების საფუძველი გახდა სოციალისტური საკუთრება. წვრილი გაჩანაგებული გლეხური მეურნეობების ადგილას შეიქმნა მსხვილი მექანიზებული, მაღალსაქონლური საკოლმეურნეო წარმოება. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა კავი, ხის ფარცხი და ცელი იყო მიწათმოქმედების ძირითადი იარაღები. ახლა საკოლმეურნეო მიწდამუშავებლებში მუშაობს ასიათასობით ტრაქტორი, კომბაინი, ავტომობილი და სხვა თანამედროვე მანქანა.

ასრულებს რა ლენინის ანდერძს, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინა კულტურული რევოლუცია. ძველი სოფელი თითქმის მთლიანად უწიგნური იყო. გავიდა წლები და სულ სხვა გახდა გლეხი. სოფლების მცხოვრებთ შესაძლებლობა მიეცათ ფართოდ დაეფიფქოდნენ საშუალო და უმაღლეს განათლებას, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების მიღწევებს. წინათ სოფელში ერთადერთი სპეციალისტი მჭედელი იყო. ახლა სოფლის მეურნეობაში ასიათასობით ტრაქტორისტი, კომბაინერი, შოფერი, მეძანქანე, მექანიკოსი, ელექტრიკოსი. განუზომლად გაიზარდა სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა რიგები. ახლა სოფლად შრომობს სოფლის ინტელიგენციის უზარმაზარი არმია — მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ინჟინრები, ეკონომისტები.

ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში სოფლის პეიზაჟის განუყოფელ ნაწილად იქცა ალაშენებანი. ამ წლების მანძილზე სოფლად აშენდა მილიონობით საცხოვრებელი სახლი, ათიათასობით კლუბი, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა. თანამედროვე სოფელს უკვე ვეღარ წარმოვიდგენთ უელექტროფიდ, ურადიოდ, უტელევიზოდ, უტელეფონოდ. ყოველივე ეს სოფლად მომხდარი სოციალისტური გარდაქმნის შესანიშნავი ნაყოფია.

აღიზარდა ახალი გლეხი — კოლექტივისტი, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი. ბევრ კოლმეურნეობაში მხარდამხარ, ძმებივით ცხოვრობენ და შრომობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ძირეულად შეიცვალა გლეხის შრომის ხასიათი. იგი სულ უფრო მეტად უახლოვდება ინდუსტრიის მუშის შრომას. ყოველწლიურად იზრდება წარმოების ნოვატორთა, კომუნისტური შრომის დამკვრელთა რიცხვი. ჩვენი სოფლის მეურნეობის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს თავიანთი თავდადებული შრომით კოლმეურნე ქალებმა. კოლმეურნეთა შორის ათასობით სოციალისტური შრომის გმირია, ასიათასობით კაცი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ყოველი ჩვენგანი ხედავს, თუ როგორ ვითარდება წლითიწლობით საზოგადოებრივი წარმოება, მტკიცდება კოლმეურნეობათა ეკონომიკა, უმჯობესდება კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა.

საყოველთაო სახალხო განხილვის შემდეგ ჩვენმა ყრილობამ მიიღო კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება. ეს წესდება სოფლის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების ფართო სარბიელს სახავს, იგი მოასწავებს ახალ ეტაპს საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში. წესდებაში ზუსტად განსაზღვრულია კოლმეურნეობათა ძირითადი ამოცანები, კოლმეურნეთა უფლება-მოვალეობანი. ეჭვი არ არის, რომ ახალი წესდება უდიდეს როლს შეასრულებს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაში.

პარტია და მთავრობა მოგვიწოდებენ მოკლე ვადებში ბევრად გადააჭარბოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახლანდელ დონეს, მივაღწიოთ მისი განვითარების მაღალ და მყარ ტემპს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით ჩვენი კოლმეურნეობები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან ცხოვრების გაზრდილ მოთხოვნებს, ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ არსებულ შინაგან რეზერვებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ბევრი ხანდა ძირითადი სიმდიდრის — მიწის, აგრეთვე ტექნიკის, სასუქების, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენებაში. რიგიანად ვერ არის დაყენებული მეთესლეობისა და სანაშენე საქმე.

ჩვენ ყოველ. ღონეს ვიხმართ, რომ უფრო სწრაფად აღმოვფხვრათ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი და ავამოქმედოთ საკოლმეურნეო წარმოების უზარმაზარი რეზერვები. სახელმწიფოს გულუხვი დახმარებით ჩვენ განუხრელად და თანამიმდევრულად განვახორციელებთ სოფლის მეურნეობის ტექნიკურ ხელახალ აღჭურვას, დაენერგავთ კომპლექსურ მექანიზაციას მინდვრებსა და ფერმებში, გავაფართოებთ მიწების ქიმიზაციასა და მელიორაციას, ყოველნაირად ავამაღლებთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურას, რათა განუხრელად გავზარდოთ მინდვრების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გავადიდოთ მარცვლეულის, ხორცის, რძის, მამრის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, გავაფართოოთ და გავაიაფოთ საკვების წარმოება.

ჩვენი მუდმივი ზრუნვის საგანი კვლავაც იქნება შრომის ნაყოფიერების ზრდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი წარმოების რენტაბელობისა და ეფექტიანობის ამაღლება წარმოებაში მოწინავე გამოცდილების, მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების უფრო ფართოდ დანერგვის საფუძველზე.

ჩვენ გვესმის, რომ საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარება, სოფლის მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესება, ქალაქსა და სოფელს შორის ზღვარის მოშლა წარმოუდგენელია საწარმოო, სანიმაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ყოველნაირი გაფართოების გარეშე. ამიტომ ჩვენ კვლავაც გავაფართოვებთ მშენებლობას სოფლად, ბეჯითად შევეწმნით მშენებელთა მუდმივ კადრებს, განვავითარებთ ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებას, რათა თვითეული სოფელი, სტანიცა, აული, ყიშლაღი უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი გახდეს.

ჩვენ შეგებული გვაქვს, რომ კოლმეურნე თავისი საზოგადოებრივი კოლექტიური წარმოების ბატონ-პატრონია. მაგრამ ბატონ-პატრონობა მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ გქონდეს ახალი წესდებით მინიჭებული დიდი უფლებები, არამედ ზუსტად უნდა ასრულებდე კიდეც მოვალეობას კოლმეურნეობისა და სახელმწიფოს წინაშე. ახალი სანიმუშო წესდების მიღება კიდევ უფრო განვითარებს კოლმეურნეთა საზოგადოებრივი და პირადი ინტერესებს, შრომის მატერიალური და მორალური სტიმულების სწორად შეხამების ლენინური პრინციპებს. თვითეული კოლმეურნის ვალია იზრუნოს მშობლიური კოლმეურნეობის აყვავებისათვის, განუხრელად დაიცვას წესდება, კეთილსინდისიერად იშრომოს საზოგადოებრივ მეურნეობაში, განამტკიცოს შრომის დისციპლინა, გაუფრთხილდეს, დაიცვას და გამრავლოს სოციალისტური საკუთრება. საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი აღმავლობა სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ზრდის საფუძველია.

ჩვენი კოლმეურნეობების მომავალი ახალგაზრდობის, მამათა, რევოლუციური ხაქმის განმგრძობთა ხელშია. სოფლის ქალიშვილებსა და ვაჟუკებს საქმიანობის ფართო ასპარეზი აქვთ. სოფელს სჭირდება მექანიზატორთა, მეცხოველეთა, აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა, აგროქიმიკოსთა, მელიორატორთა, მშენებელთა, ეკონომისტთა და სხვა სპეციალისტთა კვალიფიციური კადრები, რომლებმაც წინ უნდა ნახსნონ სოფლის საწარმოო ძალები და მისი კულტურა. მჩქეფარე ენერგიით აღსავსე ახალგაზრდობას, რომელსაც სწყურია ცოდნა, ესწრაფვის ყოველივე ახალს, აქვს თავისი ძალების გამოყენების სარბიელი. ჩვენ ყველა პირობას შევაქმნით იმისათვის, რომ სოფლის ახალგაზრდობა დაეუფლოს მეცნიერებასა და ტექნიკას, ნაყოფიერად იშრომოს მინდვრებსა და ფერმებში, აშენოს თავისი ცხოვრება და ყოფა ისე, როგორც გვიანდერძა დიდმა ლენინმა.

ჩვენ განსაკუთრებული ქმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ წარმატებით ხორციელდება ლენინური პარტიის კურსი — სოფლის საწარმოო ძალების ყოველნაირი აღმავლობის, მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარების კურსი, რომელიც განსაზღვრეს პარტიის XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებმა.

კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობის მოწვევა, კოლმეურნეობის ახალი წესდების მიღება მოწმობს პარტიისა და მთავრობის თანამიმდევრულ და დაუცხრომელ ზრუნვას საბჭოთა გლეხობისათვის, საკოლმეურნეო წყობილების, როგორც ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განუყოფელი ნაწილის განვითარებისათვის.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად კოლმეურნეები საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან და სოფლის ყველა მშრომელთან ერთად, პარტიაო ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მაღლა ასწევენ ჩვენი სოფლის მეურნეობის ახალი წარმატებებისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშას, ღირსეულად შეხვდებიან ღირსშესანიშნავ თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ ახალი, უფრო მაღალი საწარმოო მიღწევებით აღვნიშნოთ ლენინის იუბილე — წარმატებით დავამთავროთ წლევანდელი სასოფლო-სამეურნეო წელი, ორგანიზებულად გამოვაზამთროთ პირუტყვი, მოვიწიოთ მომავალ წელს უხვი მოსავალი, არათუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეავსრულოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები.

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა აღუთქვამს პარტიასა და მთავრობას, რომ საბჭოთა გლეხობა მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის მხარდამხარ კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდება პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო და ლენინის დიადი დროშით ილის წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ბედნიერების ბურჯს!

დე, განმტკიცდეს და აყვავდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ურღვევი საფუძველი!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, დიდი ლენინის პარტიას, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა

საინფორმაციო ცნობა

კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის სხდომათა შესახებ

1969 წლის 27 ნოემბერს მუშაობას განაგრძობდა კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა.

დილის სხდომა გაიხსნა ამურის ოლქის კოლმეურნეობა „პრიამურიეს" თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის ამხ. მ. მ. სტუანიკოვის თავმჯდომარეობით.

კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების შესახებ მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: მ. ორაზმურადოვი — თურქმენეთის სსრ ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ა. ბ. იბრამოვი — ბაშკირეთის ასსრ კოლმეურნეობა „პრავდის" აგრონომი, მ. მ. ტიაშელნიკოვი — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მ. პ. ოტსმანი — ესტონეთის სსრ კოლმეურნეობა „სიპრუსის" მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი, ი. ი. შუმაკოვი — ალტაის მხარის კოლმეურნეობა „როსიის" თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, მ. ა. შოლოხოვი — მწერალი.

ყრილობას მიესალმნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. რინჩინი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. მ. იაბლონსკი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ეროვნული კავშირის თავმჯდომარე ამხ. მ. ვილ

ლენინის მიერ ნაჩვენები გზით

ყრილობის დარგაზიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 ნოემბერს ყრილობის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ხარკოვის ოლქის ორკონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. ს. მოგილჩენკო.**

პირველს სიტყვა ეძლევა ყირგიზეთის სსრ კოლმეურნეობა „პობედის“ უფროს მწყემს **ჯ. სარიევს.** ჩვენს ხალხს, თქვა მან, აქვს ტრადიცია: მამიდან შვილზე გადადის მწყემსის პროფესია. ჩემი პაპა და მამა შთამომავლობით მწყემსები იყვნენ. მაგრამ თავის ფარებს კი არა, არამედ ბაის ფარებს მწყემსავდნენ. მაშინ მწყემსებს არა ჰქონიათ არც სახლი და არც ნამდვილი იურტა—ცხოვრობდნენ კარვებში, სულ მუდამ გაჭირვების გახიდიდნენ.

სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ის დრო. ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ ჩვენს შესანიშნავ საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ყველაფერი კეთდება ადამიანისათვის. ჩვენში ადამიანი არასოდეს არა რჩება მარტოდ. არც ლხინში და არც მწუხარებაში. ომში დაიღუპა მამაჩემი. დედაჩემს ხუთი დავრჩით. თვითონ განსაჯეთ. ამხანაგებო, რა მოგვვიდოდა რევოლუციამდელ დროში. საბჭოთა ხელისუფლების დროს, საკოლმეურნეო წყობილებაში თვითეულმა ჩვენგანმა იპოვა ცხოვრების გზა, აირჩია სამშვაო სურვილისამებრ. მწყემსი გაეხდი და გამაყოს ჩემი პროფესიით. საშუალოდ ამ ბოლო სამ წელიწადში ყოველ ას ცხვარზე ვიღებ 137 ბატკანს. სულ კი ამ წლების მანძილზე ჩემს ხელში გაიარა ორი ათასზე მეტმა ბატკანმა.

ჩვენი კოლმეურნეობა, ისევე როგორც ჩუს ხეობის ყველა სხვა კოლმეურნეობა, — მრავალდარგოვანი მეურნეობაა, რომელსაც მექანიზაციის მაღალი დონე აქვს. ერთ-ერთი წამყვანი დარგია მეცხვარეობა. ფერმებში არის 20 ათასზე მეტი ცხვარი — იმდენი, რამდენიც 25 წლის წინათ ჰყავდა რაიონის 47 კოლმეურნეობას. ამასთანავე, წინათ ვამენებდით უხეშმატყლიან ცხვარს, ახლა ჩუს ხეობის ყველა მეურნეობაში ვამენებთ ყირგიზული ნახევატყლიანი ჯიშის ცხვარს.

წლითიწლობით მტკიცდება კოლმეურნეობის ეკონომიკა, მასთან ერთად უმჯობესდება ხალხის ცხოვრება. შეიდი რომელ სახლშიაც გნებავთ — იქ სრული დოვლათი სუფევს. ყველა დაბაში არის ელექტრონა, სახლებში გაზის ქურები. გაზის ქურებს ნახავთ არა მარტო კოლმეურნეთა სახლებში, არამედ მწყემსთა ბინებშიც — მაღალმთიანეთში. ახლა რესპუბლიკაში თითქმის არ არის ისეთი ადგილი, სადაც გაყვანილი არ იყოს კარგი გზები.

საკოლმეურნეო წყობილებამ, თქვა მან, ძირეულად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. და ყველაფრისთვის, რითაც ძლიერნი და მდიდრები ვართ, გულთადი მადლობა დიდი ლენინის პარტიას. ჩვენ, ყირგიზი მეცხოველენი, ამ ზრუნვას ვუპასუხებთ შეუპოვარი შრომით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზედიდებით.

ტრიბუნაზეა ვლადიმირის ოლქის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ა. ვ. გორშკოვი.** კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა ყველა ჩვენგანისათვის შთამბეჭდავი, სასიხარულო და ღირსშესანიშნავი მოვლენაა, აღნიშნა ორატორმა. ყრილობის მოწვევა ემთხვევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკოლმეურნეო ორგანიზაციაზე გლეხობის მასობრივი გადასვლის დაწყების 40 წლისთავს. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, ამხ. ფ. ს. პოლიანსკის მოხსენებაში დიდი დამაჯერებლობითაა ნაჩვენები, თუ რა უდიდესი, ტიტანური მუშაობა გასწია ჩვენმა პარტიამ ლენინის კოოპერაციული გეგმის განხორციელებისათვის.

ჩვენი კოლმეურნეობის ისტორიაში, სადაც უცვლელად ვმუშაობ თავმჯდომარედ უკვე ორმოცდამეოთე წელია, თვალსაჩინოდ აისახა ეს რევოლუციური ცვლილებანი. ჩვენი კოლმეურნეობა შექმნა ღარიბ გლეხთა ჯგუფმა მეშჩერის დაბლობის სიღრმეში. ცუღლებთა და ბარებით შეიარაღებული პირველი კოლმეურნეები აისიდან დაისამდე ჩეხავდნენ ტყეებს, ამრობდნენ დაჭაობებულ მიწებს. სახელმწიფოს დახმარებით დავძლიეთ გაჭირვება და მოკლე დროში შევქმენით მსხვილი კოლექტიური მეურნეობა.

ახლა კოლმეურნეობა უკვლის 14 ათასზე მეტ ჰექტარ მიწას. ნიადაგი ჭეშმარიტია. მაგრამ მინდურებში მყარ მოსავალს ვიწვეთ: საშუალოდ 24 ცენტნერ მარცვლეულს, 250 ცენტნერზე მეტ კარტოფილს, 350 ცენტნერზე მეტ ბოსტნეულს ჰექტარზე. ჩვენ გვაქვს განვითარებული მეცხოველეობა.

პირველი კოლმეურნეები ოცნებობდნენ სოფელი გარდაექმნათ სოციალისტურ ყაიდაზე, კოლმეურნეთა ყოფა დაეახლოებინათ ქალაქის ცხოვრების პირობებისათვის. ახლა ეს ოცნება სინამდვილე ხდება. მეტნელ სახლებში არის ყველა პირობა: წყალსადენი, ცხელი წყალი, კანალიზაცია, ორთქლის გათბობა, ბუნებრივი გაზი. გლეხთა ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრდა ტელეფონი, რადიო, ტელევიზორი.

ამ ბოლო წლების ახალშენებათა შორის არის ავტომატური სატელეფონო სადგური, აგრონომიული და ზოოტექნიკური კულტურის სახლი ნიადაგისა და აგრონომიის ლაბორატორიით, ორი სკოლა-ინტერნატი, სამავშვო კომბინატი, სასტუმრო, სასადილო, ექვსი მაღაზია. ვაშენებთ საკოლმეურნეო სანატორიუმებს სამკურნალო კაბინეტებით და კოლმეურნეთა კიდევ უფრო მოხერხებულ სახლებს.

ჩვენმა ყრილობამ, თქვა შემდეგ ა. ვ. გორშკოვმა, უნდა მიიღოს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი — კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდება. მე ემონაწილეობდი ახალი წესდების პროექტის შემმუშავებელ კომისიაში. როგორც ამ კომისიის წევრმა, ხაზი უნდა გავუსვა, რომ პროექტი ასახავს კოლმეურნე გლეხობის ფიქრებსა და ინტერესებს, საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა მხარეს, შეესაბამება კომუნისტური მშენებლობას ამოცანებს.

ახალი სანიმუშო წესდების პროექტი შრავალი წლის კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია. წესდების შემადგენისათვის ბეჭითად შრომობდა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მეცნიერთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, ეკონომისტთა და იურისტთა წარმომადგენლების დიდი ჯგუფი. წესდების პროექტში ისახა ათასობით წინადადება, რჩევა და სურვილი. ეს დოკუმენტი გამოხატავს ყოველივე ახალსა და მოწინავეს, რაც საკოლმეურნეო მშენებლობის ცხოვრებამ და პრაქტიკამ წარმოშვა. ამავე დროს იგი გვიჩვენებს პერსპექტივას, განსაზღვრავს სოფლის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების, კოლმეურნეობათა ახალი აყვავების, კოლმეურნეთა ცხოვრების გაუმჯობესების, კომუნიზმის მშენებლობაში მათი სულ უფრო აქტიური მონაწილეობის გზას.

ამხანაგებო, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ დოკუმენტის თვითეული კარი, თვითეული პუნქტი განმსჭვალულია საკოლმეურნეო წყობილების — საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მონაპოვრის განმტკიცებისათვის ზრუნვით.

კოლმეურნეობა გლეხობისათვის მართლაც რომ კომუნიზმის ნამდვილი სკოლა გახდა, როგორც ეს განსაზღვრულია ახალი წესდების პროექტში. ახლა შეგვიძლია სიამაყით და გაბედულად ვთქვათ, რომ დიდი ვ. ი. ლენინის ანდერძი ღირსეულად ხორციელდება, რომ საკოლმეურნეო წყობილება საბჭოთა საზოგადოების გაუყოფელი ნაწილია, იგი ერთგულად ემსახურებოდა და კვლავაც ემსახურება კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

ლენინის კოოპერაციული გეგმა, სოფლებისა და ყიმლაყების სოციალისტური გარდაქმნის გეგმა, თქვა ტაჯიკეთის სსრ კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ თავმჯდომარემ **მ. მახმუდოვმა,** — ეს არის ერთადერთი გზა, რომელსაც შეეძლო გაეხალვინნა და გაანახლა კიდევ ჩვენი მხარე და ჩვენი გლეხობის მთელი ცხოვრება.

ორატორი ლაპარაკობს თავის კოლმეურნეობაზე, რომელიც ტაჯიკეთის სამხრეთით ვახშის ხეობაში მდებარეობს. რევოლუციამდე ეს იყო თითქმის დაუსახლებელი უდაბნო მხარე. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მორწყვის გამოყენებით მოკლე ვადაში სიცოცხლე დაუბრუნდა მიწებს. ახლა ვახშის ხეობა ქვეყნის უძერესესი ნაზბოკოიანი ბამბის წარმოების ძირითადი ბაზაა. აქ ყოველწლიურად აწარმოებენ ათეულ ათასობით მაღალხარისხოვან კრაველს, ისობით ტონა აბრეშუმის პარკს, მილიონობით ციტრუსოვანთა ნაყოფს, ბევრ ხილსა და ყურძენს, რძესა და ხორცს. ვახშის ხეობა ახლა საცდელი მინდორიცაა, სადაც იბადება მუშამბების მოწინავე აგროტექნიკური ხერხები, იქმნება ახალი ჯიშის სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

ვახშის სარწყავი სისტემის მშენებლობა პირველი ხუთწლედის ერთ-ერთი უდიდესი სიორიგაცეო მშენებლობა იყო. მოგვიანებით ეს მუშაობა რესპუბლიკაში კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა.

დღეს ტაჯიკეთის ველებს ჰკენენს ათასობით საირიგაციო სარწყავი არხი. რესპუბლიკას ახლა აქვს 500 ათას ჰექტარზე მეტი სარწყავი მიწა. ეს უდიდესი სიმდიდრეა.

ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვებმა მიწისადმი დამოკიდებულების შესახებ, მიწისადმი სიყვარულის შესახებ დიდად ალაფთო ჩვენი გული, თქვა დელეგატმა. ყირიღობის მონაწილეებს აღვუთქვამ, რომ ჩვენ, მხვნელ-მთესველები, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მთლიანად გამოვიყენოთ თვითეული ჰექტარი სახნავი, განუწყვეტლივ სრულვყოთ სარწყავი მიწათმოქმედება.

მძლავრ წყალსამეურნეო მშენებლობას ჩვენ, ტაჯიკები, ვახორციელებთ დიდი რუსი და სხვა მრძე ხალხების დახმარებითა და მხარდაჭერით. დიდი ძალა — მეგობრობა და ძმური ურთიერთდახმარება დაგვეხმარა გაგვეჭრა მთები, წყალი ავვეყვანა ასობით მეტრ სიმაღლეზე მდინარეთა დონიდან, მოგვერწყა მოცდენილი მიწები. სწორედ ეს დიდი ძალა გვეხმარება წარმატებით ვაშენოთ ახალი ბედნიერი ცხოვრება. ჩვენი ხალხი მუდამ იყო და კვლავაც ერთგული იქნება ბრძნული ლენინური ანდერძისა — დღითი დღე გავითარებდეთ და განვამტკიცებდეთ ჩვენს მეგობრობას, ჩვენს ინტერნაციონალურ სოლიდარობას — სოციალიზმის უდიდეს მონაპოვრებს. ჩვენი ზრდის თვითეული საფეხური, თვითეული წინგადადგმული ნაბიჯი — ეს არის კომუნისტური პარტიის სიბრძნისა და ნების განხორციელება, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება.

მ. მახმუდოვი შეეხო პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც მომავალში უნდა გადაწყვიტონ კოლმეურნეობებმა. დელეგატის აზრით, სწორია საკითხის დასმა კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო საბჭოს შექმნის შესახებ. ცხოვრება, პრაქტიკა გვიკარნახებს, რომ ასეთი ორგანო კოლმეურნეობებს სჭირდებათ. ორატორი გამოთქვამს თვალ რიგ წინადადებებს, რომ გადიდდეს კიდული იარაღების წარმოება მინდვრის სამუშაოების მექანიზაციისათვის, განსაკუთრებით მიწასასთხრელი მანქანების წარმოება, რომ მიზანშეწონილია გადიდდეს საშრობ-საწმენდი საამქროების სიმძლავრე სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში.

მიწის მშრომელებზე ყოველდღიური ყურადღებისა და ზრუნვისათვის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს სომხეთის კოლმეურნე გლეხობის სახელით დიდი მადლობა მოახსენა XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ, ზოოტექნიკოსმა **ა. გ. ბეკნაზარიანმა.**

ჩვენ, სოფლის მშრომელები, თქვა დელეგატმა, კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობაზე შეეგებიდეთ ლენინურ შესანიშნავ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი მზარდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში ეგებება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს. დიდი ლენინის სახელთან დაკავშირებულია სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქცია. ლენინის მიერ შემუშავებული კოოპერაციული გეგმა გლეხთა მრავალმილიონიანი მასების ნათელი გზა გახდა.

ლენინური კოოპერაციული გეგმა, ბანხორციელებამ და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ ძირეულად გარდაქმნეს სომხური სოფლის სახე, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ბეკნაზარიანმა. სომხეთის გლეხობამ მუშათა კლასის დახმარებით, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში დაძლია საუკუნოვანი ჩაგვრირებულობა, დაიდგა სოციალისტური განვითარების გზას, შეძლებული და ბედნიერი ცხოვრების გზას.

შემდეგ დელეგატმა აღნიშნა, თუ როგორ შეიცვალა სომხური სოფელი. წვრილი ინდივიდუალური მეურნეობების ნაცვლად რესპუბლიკაში შექმნილია თანამედროვე მაღალმექანიზებული მეურნეობანი, რომლებიც წარმოებას მეცნიერულ საფუძვლებზე ეწევიან. ძველი თიხატკეპნილი სოფლები შეიცვალა ლამაზი და კეთილმოწყობილი სოფლებით და ქალაქებით, რომლებსაც კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები აქვთ.

სოფელში გაიზარდა ახალი ადამიანი. ძირეულად შეიცვალა მისი კულტურული დონე, გაფართოვდა მისი სულიერი სამყარო. დღეს ყოველი შესამე კაცი სომხურ სოფელში სწავლობს.

ამხ. ბეკნაზარიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სომხეთის სოფლის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე, უკანასკნელი წლების მანძილზე ახალი წარმატებანი მოიპოვეს ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოების გადიდებაში. წელს, მაგალითად, მოვიწიეთ ყურძნის რეკორდული მოსავალი. საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე დაახლოებით 100 ცენტნერი შეადგინა. ვადაზე ადრე მესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ხორცის, რძის, ყურძნის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის მიყიდვის წლიური დავალება.

თავის სიტყვაში სომხეთის სსრ სოფლის მშრომელთა წარმომადგენელმა გამოთქვა მთელი რიგი წინადადებანი. მისი აზრით, მეტი საჭიროა, რომ უახლოეს დროში გადაიჭრას სამთო მიწათმოქმედების შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის მანქანების წარმოების საკითხი. ჩვენი აზრით, თქვა მან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ მეურნეობებს, მეცხოველეობის მექანიზაცია კვლავ დაბალ დონეზეა. მეცხოველეთა შრომის შემსუბუქება, მისი მწარმოებლობის ამაღლება, მეცხოველობის პროდუქტების თვითღირებულების განუხრელი შემცირება დაბეჯითებით მოითხოვს ისეთი მანქანების შექმნის, წარმოებისა და დანერგვის დაჩქარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცხოველეობის კომპლექსურ მექანიზაციას.

ორატორმა განაცხადა, რომ სომხეთში ყველგან ფართოდ განიხილეს კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტი. ამ განხილვის დროს გამოითქვა ბევრი შენიშვნა, წინადადება და დამატება, რომლებიც განვიზოგადეთ და წარვუდგინეთ ამ ყრილობის მოსამზადებელ და მომწყობ კომისიას.

ჩვენი ქვეყნის მეცნიერნი, თქვა ყრილობის ტრიბუნიდან საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **ა. ა. ლობანოვმა,** დარწმუნებული არიან, რომ კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების პროექტი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში შემდგომ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. მეცნიერნი მთელ თავიანთ ცოდნასა და აზრებს ახლა ახმარენ იმას, რომ დაჩქარონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიების შემუშავება, დაეხმარონ სოფლის მშრომელებს უფრო სწრაფად გამოიყენონ მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები მინდვრებსა და ფერმებში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებათი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა, ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, მთელი ჩვენი ხალხის მუდმივი ზრუნვა ჩვენი ქვეყნის მიწის სიმდიდრეთა შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის, მიწების დაცვისათვის, გაუქმობესებისა და ნაყოფიერების გადიდებისათვის. ეს ჩვენი დროის უდიდესი სახელმწიფოებრივი პრობლემაა.

მეცნიერებამ შეიმუშავა ეროზიისაგან ნიადაგთა დაცვის ეფექტიანი საშუალებანი. ბევრ მათგანს უკვე ფართოდ იყენებენ. მაგალითად, ჩრდილოეთ ყაზახეთისა და დასავლეთ ციმბირის რაიონებში ინერგება ბელტის გადაუბრუნებლად ნიადაგის დამუშავება, როცა ნიადაგის ზედაპირზე ტოვებენ ნაფვერალს. ეს თავიდან გვაცილებს ეროზიული პროცესების წარმოშობას და უზრუნველყოფს ტენის დაგროვებას ნიადაგში და ამის შედეგად უზრუნველყოფს მოსავლის დიდ სტაბილურობას. მიმდინარე წელს ასეთი სისტემა გამოიყენეს 14 მილიონ-ჰექტარზე მეტ ფართობზე. მისმა დანერგვამ მოგვცა დამატებით სამ ცენტნერამდე მარცვალი ჰექტარზე. დიდი მნიშვნელოვანი ენერგია ნიადაგების ეფექტიანი დაცვის პრობლემას ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინის, ვოლგისპირეთის ველზე ოიოროვ-ში და ცენტრალურ-შავმიწანიდაგიანი ზონის ზოგიერთ სხვა ოლქში.

მიწის რაციონალურად გამოყენებაში, თქვა ორატორმა, დიდი როლი უნდა შეასრულონ მეურნეობის მართვის მეცნიერულად დასაბუთებულმა სისტემებმა ქვეყნის ძირითადი ბუნებრივ-ეკონომიური ზონების მიხედვით, რომლებიც ამ ბოლო წლებში შეიმუშავეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სანინისტრომ, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა.

მარცვლეულისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვია მაღალპროდუქტიული ჯიშების უფრო სრულად გამოყენება. ამ ბოლო წლებში შეიქმნა ახალი ძვირფასი ჯიშები, რომლებსაც ახლა გადასცემენ წარმოებას, — ესენი არის სამშიდოგომო ხორცის ჯიშები „ავრორა“, „კაკასიელი“, „საიუბილეო“, „ოდესური — 51“ და სხვ. ისინი მოსავლიანობით 7-12 ცენტნერით აღემატებიან „უფეხო-1“-ს. მარტო ასეთი ჯიშების ყველგან გამოყენების გზით ქვეყანას შეუძლია მიიღოს დამატებით 1,5 მილიარდ ფუთამდე მარცვალი. მაგრამ მათი მნიშვნელოვანი თვისებები შეიძლება ყველაზე უფრო სრულად გამოვლინდეს მხოლოდ მაშინ, თუ კარგადაა ორგანიზებული მეთესლეობა და დაცულია ჯიშობრივი აგროტექნიკა.

საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში დიდ როლს შეასრულებს წესდების პროექტის მე-16 მუხლი, თქვა ა. ა. ლობანოვმა. ამ მუხლით გათვალისწინებულია, რომ კოლმეურნეობის ვამგეობა და ყველა წევრი ვალდებულებას ეისრულობენ უზრუნველყონ წარმოების რაციონალური გაძღოლა ინტენსიფიკაციისა და სპეციალიზაციის, იმ დარგების უპირატესი განვითარების გზით, რომლებისთვისაც არის საუკეთესო ბუნებრივ-ეკონომიური პირობები. განსაკუთრებით საჭიროა წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია მეცხოველეობაში, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავნერგოთ წარმოების სამრეწველო მეთოდებზე დამყარებული პროგრესული ტექნოლოგია.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის თანამიმდევრული ინტენსიფიკაციის პირობებში, თქვა შემდეგ ჯ. პ. ლობანოვმა, უეღრესად იზრდება სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა როლი. ახლა განსაკუთრებით საჭიროა სოფლის მშრომელთა სპეციალური ცოდნის შემდგომი ამაღლება. რომლებმაც უნდა მართონ რთული მანქანები, ტექნოლოგიური პროცესები, აითვისონ სოფლის მეურნეობის მეცნიერების უახლესი მიღწევები და გამოიყენონ წარმოებაში. კოლმეურნეობის ახალი წესდება ქმნის ფართო შესაძლებლობებს სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, სოფლად სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობების სრულყოფისათვის, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების ალმოფხვრისათვის.

სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მეცნიერთა დიდი არმიის სახელით, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ყრილობის დელეგატებს აღუთქვა, რომ მეცნიერნი კვლავაც მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას მოახმარენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების საქმეს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

ყირილობათა სასახლის დარბაზში გაისმა დაფიონის ხმა. მოწოდება „ისმინეთ ყველამ!“ შეცვალა ხალისიანმა პიონერულმა სიმღერამ. იმავე წუთს ფართოდ გაუღეს კარი ყრილობის ყველაზე ხორჩ სტუმრებს — პიონერებს. უფრო გაანათა, უფრო გაახალისა დარბაზი ბავშვების ღიმილმა, თეთრმა კოფოტებმა და ხალათებმა, წითელმა ყელსახვევებმა.

ექვსი ათასი დელეგატი და სტუმარი ფეხზე ადგა, მხურვალედ ტაშს უკრავდა ნორჩ ლენინელებს, რომლებმაც მიწის მუშათა ყრილობას გადასცეს მხურვალე პიონერული სალამი.

აღფრთოვანებული, მხურვალე სიტყვებით პიონერებმა გამოხატეს უდიდესი პატივისცემა, გულითადი მადლობა ყველა კოლმეურნისადმი მათი გმირული შრომისათვის.

და კვლავ დარბაზში შემოიჭრა სიმღერა, რომელსაც კარგად იცნობს საბჭოთა ადამიანების რამდენიმე თაობა „კოცონებად აგიზგიზდით, ლუკრო ღამეებო“, მარად ახალგაზრდა — ჩვენი პიონერიის სიმღერა.

გამოდის კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობაზე მოწვეული ალი ლენინგრადის მეთაური, კუბის რესპუბლიკის წვრილ მიწათმოქმედთა ეროვნული ასოციაციის სახელით გადასცა სარეკომენდაციო ბარბაზში გაისმის ხანგრძლივი ტაში.

